MED EL

დისტანციური გაკვეთილების კრებული 2

ტელეპრაქტიკაში გამოსაყენებლად

hearLIFE

დისტანციური გაკვეთილების კრებული

გაეცანით MED-EL-ის დისტანციური გაკვეთილების კრებულს

1. რა არის MED-EL-ის დისტანციური გაკვეთილების კრებული?

MED-EL-ის გაკვეთილების კრებული შეიცავს აღწერილობით ინფორმაციას, გაკვეთილების გეგმას, მითითებებს, თერაპევტის ჩანაწერებს და რესურსებს. ზემოაღნიშნულს ნახავთ აქ: https://blog.medel.pro/. თერაპევტებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ეს უფასო რესურსები, რათა ჩაატარონ მოსმენისა და სალაპარაკო ენის უნარების განვითარებაზე ფოკუსირებული გაკვეთილები იმ ბავშვებისთვის, რომლებიც იყენებენ სმენის დამხმარე ტექნოლოგიებს. MED-EL-ის დისტანციური გაკვეთილების კრებული წარმოადგენს გაკვეთილების კრებულიდან რჩეულ აქტივობებს, რომლებიც მოიცავს საჭირო ინფორმაციას და მრავალდონიანი გაკვეთილების გეგმას, რომელსაც იყენებენ თერაპევტები ინტერნეტის საშუალებით გაკვეთილების ჩასატარებლად. დისტანციური გაკვეთილების კრებული გამოიყენება ტელეპრაქტიკის გზით მომსახურების მიწოდებისთვის სოფლად ან დისტანციურად მყოფ ოჯახებისთვის ან იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც უჭირთ კლინიკაში გაკვეთილებზე დასწრება.

2. რა სჭირდებათ ოჯახებს?

ოჯახებს უნდა შეეძლოთ თერაპევტთან დაკავშირება ელექტრონულ მოწყობილობაზე ინტერნეტის საშუალებით. სასურველია, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა ელექტრონულ ფოსტაზე და პრინტერზე, მაგრამ რესურსების ამობეჭდვა შესაძლებელია კლინიკაშიც, რომლებიც გამოქვეყნდება გაკვეთილის დაწყებამდე. ოჯახებს დასჭირდებათ მაკრატელი, წებოვანი ლენტი და სტეპლერი. იმის გასაგებად, თუ როგორ უნდა შესრულდეს თითოეული დავალება, მშობლებმა/აღმზრდელებმა გაკვეთილის წინ უნდა წაიკითხონ მოსამზადებელი ჩანაწერები.

3. ესაჭიროებათ თუ არა თერაპევტს და ოჯახს რესურსების ასლები?

დიახ. თერაპევტების ამოცანაა სწავლებითა და ქოუჩინგინგით გააუმჯობესოს მშობლების/აღმზრდელების უნარები, რათა მათ შეძლონ თავიანთი ბავშვების დახმარება სახლის პირობებში. თერაპევტებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ბავშვების ჩართულობა აქტივობებში კამერის საშუალებით, რათა დაანახონ მათ, რომ აქვთ ერთი და იგივე მასალები.

4. როგორ მუშაობს მრავალდონიანი გაკვეთილების გეგმა?

გაკვეთილების გეგმა მოიცავს რჩევებს სმენის, სალაპარაკო ენის, შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნების შესახებ. სწავლების თითოეულ სფეროში განსაზღვრულია რამდენიმე მიზანი. ბავშვების ფუნქციონირების დონის დასადგენად თერაპევტები იყენებენ მიმდინარე სადიაგნოსტიკო შეფასებას და ირჩევენ მიზნებს ერთი საფეხურით წინ. უნარებისა და მიზნების უფრო დეტალური ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ MED-EL-ის ბავშვის განვლილი გზა.

5. რა ასაკისთვის და უნარის დონისთვის არის შესაფერისი დისტანციური გაკვეთილების კრებული?

თითოეული სფეროს მიზანი დაახლოებით უდრის ამოცანების სამ დონეს, რომელიც განსაზღვრულია MED-EL-ის გაკვეთილების კრებულში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ გვ. 6 - "შეიტყვეთ დონეების შესახებ". თერაპევტის ჩანაწერები კეთდება იმ ვარაუდით, რომ ბავშვს შეუძლია იჯდეს მშობელთან/აღმზრდელთან და ჩაერთოს ნახევრად სტრუქტურირებულ და თამაშზე დაფუძნებულ აქტივობებში. თუ ეს შეუძლებელია, მშობელს/აღმზრდელს შეუძლია გაიაროს ქოუჩინგი ბავშვის გარეშე, ხოლო შემდეგ ჩაატაროს აქტივობები მონიტორისგან მოშორებით. 10-12 წლამდე ასაკის ბავშვებიც კი ერთობიან ამ აქტივობებით. თერაპევტის ჩანაწერებში ასევე შედის შეთავაზებები სმენისა და მეტყველების დონის მოდიფიცირების შესახებ.

6. რომელი ძირითადი სტრატეგიებია ჩამოთვილილი გაკვეთილების გეგმაში?

ძირითადი სტრატეგიები ეხება იმ მეთოდს, რომელიც ეხმარება ბავშვებს დასახული მიზნების მისაღწევად. თერაპევტებს ეძლევათ საშუალება ახსნან და ჩამოაყალიბონ სტრატეგიები, რომლებსაც მშობლები/აღმზრდელები გამოიყენებენ დისტანციური გაკვეთილის დროს. შემდეგ თერაპევტები აწვდიან ოჯახს უკუკავშირს სტრატეგიის გამოყენებისა და გაუმჯობის შესახებ. შემდეგ გვერდებზე მოცემულია სტრატეგიების ჩამონათვალი და აღწერილობა. თითოეული დისტანციური გაკვეთილი ფოკუსირებული იქნება შეზღუდული რაოდენობით სტრატეგიებზე, რაც დაგეხმარებათ ოჯახზე კონცენტრირებაში. ოჯახების მიერ გადაღებული ბევრი სტრატეგიების ამსახველი ვიდეოების ნახვა შესაძლებელია ბმულზე "რეაბილიტაცია სახლის პირობებში" https://blog.medel.com/tips-and-tricks/.

7. რატომ არის თერაპევტის ჩანაწერებში ბევრჯერ ნახსენები "მშობლის/აღმზრდელის ქოუჩინგი"?

კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვები უფრო სწრაფად პროგრესირებენ, როდესაც მათ მშობლებს/აღმზრდელებს აქვთ თერაპიის პროცესში ჩართულობის მაღალი დონე. მშობლების/აღმზრდელების ქოუჩინგით, თერაპევტებს აქვთ საშუალება გადასცენ მათ ცოდნა, გააცნონ სტრატეგიათა მიმართულებები, სტრატეგიათა უკუკავშირი აქტივობათა ეფექტურობაზე და საჭიროების შემთხვევაში შესთავაზონ მოდიფიკაციები. ამგვარად მშობლები ან აღმზრდელები ხდებიან მეტად თავდაჯერებულები იმის გამო, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ ეს სტრატეგიები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

8. როგორ გამოვიყენოთ?

პრეზენტაცია არის მარტივი ანიმაციური PowerPoint-ის ფაილები, რომლებიც დამზადებულია მოთხრობების ან სიმღერების წიგნებიდან ამოღებული სურათებისა და ტექსტის გამოყენებით. თითოეული დისტანციური კრებული შეიცავს ერთ ასეთ ფაილს. თერაპევტებს სურვილისამებრ შეუძლიათ გამოიყენონ ეკრანის გაზიარების ფუნქცია, რათა გააკონტროლონ შინაარსის მიწოდების სიჩქარე. თავის მხრივ, ოჯახებს შეუძლიათ გადმოიწერონ პრეზენტაცია პლანშეტზე ან ტელეფონში. ანიმაციების ნახვა შესაძლებელია PowerPoint-ის (Windows-ის კომპიუტერებზე და Android-ის მოწყობილობებზე) ან keynote-ის გამოყენებით (Apple-ის მოწყობილობებზე). სხვა პროგრამების გამოყენებისას, აირჩიეთ ვერსია "ანიმაციების გარეშე". თერაპევტებს, რომლებიც მუშაობენ არაინგლისურენოვან ოჯახებთან, შეუძლიათ ამ რესურსის მორგება ფუნქციის არჩევით "რედაქტირება" და შემდეგ შეუძლიათ თარგმნონ ტექსტი.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

დისტანციური თერაპიის დაწყება (ტელეპრაქტიკა)

ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოები

1. გადახედეთ ტექნოლოგიებს, რომელსაც გამოიყენებთ თქვენ და თქვენი ოჯახი.
   ოჯახის ძირითადი მოთხოვნები:
   - კომპიუტერი (ან ტაბლეტი/ტელეფონი, თუ კომპიუტერი არ არის ხელმისაწვდომი)
   - ვებ კამერა + მიკროფონი (ჩამონტაჟებული ან ცალკე გამოყოფილი მიკროფონი)
   - მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი

   ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, თერაპევტის ძირითადი მოთხოვნებია:
   - მიკროფონით დაკავშირებული ყურსასმენი
2. გადახედეთ ვიდეო კონფერენციების ინსტრუმენტებს და დაადგინეთ რომელია თქვენთვის სასურველი.
3. იპოვეთ ადამიანი, რომელიც დაგეხმარებათ ნებისმიერი ტექნიკური საკითხის მოგვარებაში.

დაგეგმილი გაკვეთილების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე

1. დარწმუნდით, რომ ოჯახს მოგვარებული აქვს ტექნიკური საკითხები და შერჩეული აქვს ვიდეო კონფერენციისთვის საჭირო ინსტრუმენტები.
2. მოამზადეთ თერაპიისთვის განკუთვნილი ოთახი.
   თერაპიის ოთახის ძირითადი მოთხოვნები:
   - ჩუმი იზოლირებული ოთახი
   - განათავსეთ მაგიდა და კამერა ისე, რომ თქვენი სახე კარგად იყოს განათებული
   - დაიყვანეთ მინიმუმამდე ვიზუალური ყურადღების გამფანტავი ფაქტორები უკანა ფონზე (სასურველია ერთ ფერში შეღებილი კედელი)
3. გადააგზავნეთ გაკვეთილების გეგმა და ნებისმიერი სხვა ამოსაბეჭდი რესურსი ელექტრონული ფოსტით (ან ოჯახის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში ამობეჭდეთ და გაგზავნეთ ფოსტით).
4. განახორციელეთ სატესტო ზარი, რათა დარწმუნდეთ, რომ ტექნიკა მზად არის და ოჯახს აქვს ყველა საჭირო რესურსი (გაკვეთილების გეგმაში ჩამოთვლილი როგორც საბეჭდი, ასევე სხვა რესურსები).
5. განსაზღვრეთ გაკვეთილისთვის შესაფერისი დრო.

ერთი დღით ადრე

1. დაუკავშირდით ოჯახს შეხვედრის დასადასტურებლად. დარწმუნდით, რომ მათ აქვთ მომზადებული გაკვეთილისთვის საჭირო ყველა მასალა და გაარკვიეთ აქვთ თუ არა რაიმე შეკითხვა. სასურველია, რომ მშობლებმა/აღმზრდელებმა გაკვეთილის წინ წაიკითხონ მოსამზადებელი ინსტრუქციები, რათა გაიგონ, თუ რა უნდა გააკეთონ თითოეულ აქტივობაში.
2. მოამზადეთ გაკვეთილისთვის საჭირო ყველა რესურსი. (როდესაც თერაპევტი და ოჯახი იყენებს იგივე ან მსგავს რესურსებს, ასეთ შემთხვევაში აქტივობები უფრო წარმატებით ტარდება.)
3. დაადასტურეთ, რომ თქვენი ტექნიკური დახმარების სპეციალისტი მზად არის.

გაკვეთილი

1. განახორციელეთ ზარი ოჯახთან.
2. გამოყავით მცირე დრო, რომ დაამყაროთ კავშირი და შეამოწმოთ, კარგია თუ არა აუდიო და ვიზუალური კავშირი.
3. ასწავლეთ და ავარჯიშეთ ოჯახი გაკვეთილების გეგმაში არსებული აქტივობებში.
   დისტანციური თერაპიის ძირითადი პრინციპები:
   - ახსენით აქტივობის მიზანი
   - ჩამოაყალიბეთ სტრატეგიები და ახსენით, თუ როგორ და რატომ აკეთებთ ამა თუ იმ ქმედებას (არ დაგავიწყდეთ კამერაში ყურება)
   - უთხარით ოჯახს რომ ახლა მათი ჯერია და ფრთხილად დააკვირდით, რათა შემდგომ ჩაუტაროთ შესაბამისი კონსულტაცია?
     - აღნიშნეთ თუ რა გააკეთეს კარგად
     - ისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ რეაგირებდა ბავშვი
     - შესთავაზეთ გაუმჯობესება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
4. დაასრულეთ განხილვა და გააკეთეთ შემაჯამებელი დასკვნა.
5. დაამყარეთ უკუკავშირი ოჯახთან ნებისმიერ ტექნიკურ საკითხთან დაკავშირებით.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

მოსმენის უნარების განვითარების ძირითადი სტრატეგიები

ფხიზლად ყოფნის ყველა საათი ეთერში
ბავშვის სასმენი აპარატი(ები) ჩართულია და მუშაობს მისი გაღვიძების მომენტიდან დაძინებამდე. თითოეულ აპარატის ოპტიმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად ყოველდღიურად ხორციელდება ფუნქციონალური სმენითი უნარების შემოწმება (ლინგის ხმის ტესტი).

მომიახლოვდი
მოსაუბრე შეგნებულად უახლოვდება ბავშვის აუდიო პროცესორს, რათა დარწმუნდეს, რომ აუდიო სიგნალი სუფთაა. ოპტიმალური მანძილი დამწყები მსმენელისთვის არის 30-დან 50 სმ-მდე.

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები
ემოციის გამომხატველი სიტყვები, როგორიცაა ნახე!, ვაუ!, უჰ-ოჰ! გამოიყენება ხაზგასმით, ბავშვის სმენითი ყურადღების მისაქცევად. ეს სიტყვები ასტიმულირებს ტვინის აუდიტორულ ცენტრებს და ამზადებენ შემდეგი სიტყვების მოსასმენად.

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე
არსებობს უამრავი ენობრივი მოდელი, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია ისწავლოს და საბოლოო ჯამში გაიმეოროს სიტყვები. მოსაუბრეები შეგნებულად საუბრობენ იმაზე, თუ რას აკეთებენ, ხედავენ, უსმენენ და რაზე ფიქრობენ (საკუთარ თავზე საუბრობენ), ასევე იმაზე, თუ რას უყურებს, აკეთებს, სავარაუდოდ რას უსმენს და რაზე ფიქრობს ბავშვი (პარალელური საუბარი).

ფიქრის იგივე ადგილი
მოსაუბრე შეგნებულად ცდილობს გაიგოს რაზე ფიქრობს ბავშვი და აკეთებს ისეთ კომენტარს, რომ ეს აზრები სიტყვებით გამოხატოს. მაგალითად, თუ ბავშვი გარეთ იყურება, მოსაუბრემ შეიძლება უთხრას: „მე მგონი შენ გინდა გარეთ თამაში. მაგრამ ... ოჰ, ძვირფასო! გარეთ წვიმს".

აკუსტიკური აქცენტირება
იმისათვის, რომ სალაპარაკო ენა მოსასმენად უფრო საინტერესო იყოს, მოსაუბრე იყენებს რამდენიმე მეთოდს. ეს მეთოდები მოიცავს ბავშვზე ორიენტირებული მეტყველების ან ენის მოჩლექით ლაპარაკის გამოყენებას, რომელსაც ახასიათებს ბევრნაირი ინტონაცია (წამღერებით ლაპარაკი), ოდნავ ნელი ტემპი, პაუზების განზრახ გამოყენება და მნიშვნელოვან სიტყვებზე აქცენტირება მათი ფრაზის ბოლოში გადატანით ან მათი სხვაგვარად წარმოთქმა.

ყურადღებით მოუსმინე
წარმოთქმული სიტყვების გაგონება ხდება მანამ, სანამ ბავშვი მიიღებს სხვა ინფორმაციას მხედველობის ან შეხების გზით, ამიტომ ტვინის აუდიტორული ცენტრების სტიმულირება ხდება ბგერებითა და ხმით. ეს სტრატეგია ეხმარება ბავშვს სალაპარაკო ენის აღქმასა და გაგებაში. მაგალითად, სათამაშოს ჩანთაში დამალვა და ბავშვთან მასზე საუბარი მის ჩვენებამდე.

სიგნალი-ხმაურის თანაფარდობა - მოსმენის გარემო
იმისათვის, რომ ფონური ხმაური უფრო რბილი იყოს ვიდრე მოსაუბრის ხმა, გარემოს ელემენტები განზრახ და შეგნებულად რეგულირდება. მაგალითად, ფანჯრები დახურულია სატრანსპორტო ხმაურის შესამცირებლად, ტელევიზორი და მუსიკა გამორთულია. მაშინ მოსაუბრის ხმა მოსმენის ოპტიმალურ პირობებში იქნება 15-25 დბ-ით უფრო ხმამაღალი, ვიდრე ფონური ხმაური.

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ
მოლაპარაკე იყენებს უამრავ ენობრივ მოდელს (ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე), შემდეგ კი იცდის, რათა წაახალისოს ბავშვი საუბარში მონაწილეობის მისაღებად. წახალისებაში იგულისხმება დუმილი, ბავშვისკენ დახრა, ღიმილი და თანხმობის ნიშნად თავის დაკვრა.

რომელია ძირითადი სტრატეგიები?
შემდეგ გვერდებზე აღწერილია სტრატეგიები, რომლებიც სასმენი აპარატის გამოყენების მეშვეობით ხელს უწყობენ ბავშვის მოსმენის, ხოლო შემდეგ კი სალაპარაკო ენის უნარების განვითარებას. თითოეულ გაკვეთილზე, თერაპევტებს და მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა შეიმუშაონ სხვადასხვა სტრატეგია და ასწავლონ აღმზრდელებს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ესა თუ ის სტრატეგია სახლის პირობებში, რათა დაეხმარონ ბავშვს მოსმენის და სალაპარაკო ენის ინტეგრირებაში ცხოვრების ყველა ასპექტში.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

მოსმენის უნარების განვითარების ძირითადი სტრატეგიები

მოაწყეთ საბოტაჟი
სპეციალურად შექმნილი ან გამოვლენილი პრობლემები ან რთული სიტუციები ეხმარება ბავშვს კომუნიკაციის განვითარებაში. ასეთი სიტუაციისას მოსალოდნელია, რომ ბავშვი შეეცდება ისაუბროს პრობლემის შესახებ ან დახმარებას მოითხოვს მის მოგვარებაში. მაგალითად, საყვარელი სათამაშო, რომელიც იმდენად მაღლა არის დადებული, რომ ბავშვი ვერ წვდება.

გავრცობა და განგრძობა
ბავშვის ნათქვამი ან უნდა მეორდებოდეს სწორი გრამატიკული მარკერების გამოყენებით (გავრცობა) ან უნდა ემატებოდეს ინფორმაციის სხვა ნაწილები (განგრძობა). მაგალითად, თუ ბავშვი ამბობს „ბავშვის აბაზანა“, გავრცობილი პასუხი იქნება: „დიახ, ეს არის ბავშვის აბაზანა“, ხოლო განგრძობითი პასუხი იქნება: "დიახ, მოდი ჩავსვათ ბავშვი აბაზანაში".

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი
მოსალოდნელია, რომ ბავშვი შეეცდება მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ბგერის, სიტყვის ან ფრაზის კოპირებას. ამ სტრატეგიის საშუალებით ბავშვებს შეუძლიათ ჯერ მოისმინონ სიტყვის სწორი წარმოება, ხოლო შემდეგ დაუყოვნებლივ შეადარონ მათი ჟღერადობა. მოლოდინი იმისა, რომ ბავშვი შეეცდება მოსაუბრის კოპირებას, განისაზღვრება მკაფიო მეტყველებითა და ლოდინით (დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ).

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია!
ბავშვის მიერ ბგერისა თუ სიტყვის წარმოთქმის ყოველი მცირე მცდელობაც კი, უნდა იყოს აღიარებული და დაფასებული. ეს აღიარება ეხმარება ბავშვებს გააცნობიერონ თავიანთი ხმის გამოყენების მნიშვნელოვნება და ექმნება უფრო მეტი საუბრის მოტივაცია. გააერთიანეთ ეს სტრატეგია გავრცობასთან და განგრძობასთან და გარკვევით გაიმეორეთ სიტყვები.

გამოიყენეთ ვარიანტები
პასუხის ვარიანტებიან შეკითხაში მოცემულია ენობრივი მოდელები, რომლებსაც ბავშვი იყენებს გადაწყვეტილების მისაღებად და შემდეგ იმეორებს. მაგალითად, "გინდა ვაშლი ან ბანანი?" ან უფრო განვითარებული ბავშვისთვის: "გინდა დიდი წითელი ვაშლი ან პატარა მწვანე ვაშლი?"

სმენითი მეხსიერების შექმნა
ბავშვის უნარების განვითარების პროცესში, შეგნებულად ხდება ინფორმაციის გაზრდა იმ რაოდენობით, რამდენის მოსმენა და დამახსოვრებაც შეუძლია მას. წლების განმავლობაში მოსმენის გამოცდილების შედეგად, წინადადების ბოლოს დასმული ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია თანდათანობით იზრდება წინადადებაში ან წინადადებებში არსებულ ოთხ ან მეტ ინფორმაციამდე. სმენითი მეხსიერების პირველი დონის დავალების მაგალითია "იპოვე ძაღლი". სმენითი მეხსიერების მეოთხე დონის დავალების მაგალითია "დამალე მამიკოს გასაღები წიგნის ქვეშ".

სმენითი დასრულება
ნაცნობი სიმღერის, ფრაზის ან წინადადების გამოყენებით თქვენ შესაძლებლობა გაქვთ დაანახოთ ბავშვებს, რომ მათ შეუძლიათ მისი ამოცნობა და მასში მონაწილეობა. მოსაუბრე იწყებს სიმღერას, ფრაზას ან წინადადებას, ბოლოსკენ ჩერდება და ელოდება, რომ ბავშვმა თვითონ დაასრულოს სიტყვები. მაგალითად, თუ მოსაუბრებ წაიმღერა: "იციმციმე, იციმციმე, პატარა ...."

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა
შეგნებულად ხდება ბავშვისთვის მუსიკასა და სიმღერის გაცნობა, განსაკუთრებით მარტივი საბავშვო სიმღერებისა და ლექსების სახით. სიმღერა აკუსტიკური აქცენტირების ბუნებრივი ფორმაა, რომელიც ასტიმულირებს ტვინის რამდენიმე უბანს. ბავშვთა სიმღერებში გამოყენებული გამეორებები ხელს უწყობს ახალი სიტყვებისა და წინადადების სტრუქტურის შესწავლას.

წიგნები, წიგნები, წიგნები
წიგნის ერთად წაკითხვა არის პროცესი, რომელიც ხელს უწყობს ზრდასრულისა და ბავშვის ურთიერთქმედებას კითხვის დროს, გამოიყენება ლექსიკონისა და წინადადებების სტრუქტურების გასაფართოებლად, ზოგადი ცოდნისთვის, სხვისი აზრების, გრძნობების და შეხედულებების გაგებისთვის და აგრეთვე წიგნიერების უნარების განვითარებისთვის. წიგნის ერთად კითხვის სტრატეგიის მაგალითია, როდესაც მოსაუბრე აკეთებს თითო გვერდზე ერთ ან ორ კომენტარს და შემდეგ ელოდება ბავშვის ჯერს. სასურველია წიგნების რეგულარული გაზიარება.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

შეიტყვეთ დონეების შესახებ

აჩვენებს მოსმენის მიზნებს

აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს

აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

როგორ ავირჩიოთ დონე

პირველი დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენას, ათვისებასა და გაგებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია მარტივი მოკლე წინადადებებით. ასევე გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები, რათა ბავშვმა ადვილად შეძლოს ახალი ინფორმაციის ათვისება.	ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება. ბავშვი იწყებს სხვადასხვა ხმოვნების და თანხმოვნების გამოყენებას.	შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიმეცნებთ სამყაროს. პრაგმატიკა არის ენის სოციალური გამოყენება და მეტწილად დაკავშირებულია ინტერაქტიულ კომუნიკაციასთან. მასში შედის გონების თეორია (ToM). გონების თეორია არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან. გარდა ამისა, ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის.
მეორე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენას, აღქმას, გაგებას და დამახსოვრებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია.	ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას. ბავშვი იყენებს ყველა ხმოვანსა და თანხმოვანს.	
მესამე დონე	ბავშვი უკვე გამოცდილი მსმენელია, სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის ათვისებას, გაგებასა და დამახსოვრებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები.	ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს. ბავშვი ეუფლება გვიან განვითარებადი თანხმოვნების უნარებს.	

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

დისტანციური გაკვეთილების კრებული 2 გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახელი **რესურსები** • ჩემი სახლი ა1	• ცნობს სახლის ნაწილებს • აცნობიერებს თანდებულებს: · წინ - უკან · გვერდით - ზევით · შიგნით - გარეთ • ახდენს სახლის ნაწილების იდენტიფიცირებას მისი დანიშნულებასთან.	• აღნიშნავს სახლის ნაწილებს • იყენებს კონსტრუქციულ ზმნას: · ჭრა · დაწებება · დაკეცვა • აერთიანებს სიტყვებს: · ზმნა + საგანი · თანდებული + საგანი · სუბიექტი + ზმნა + საგანი	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი ა2	• ესმის შემდეგი ერთი, ორი ან სამი ელემენტი: · ადამიანი, ადგილი ან ზმნა	• იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას: · ადამიანი · ადგილი · ზმნა • აერთიანებს სიტყვებს: · ადამიანი + ადგილი · სუბიექტი + ზმნა + საგანი	• ხვდება ფრაზების "იგივე" და "არ არის იგივე" მნიშვნელობის აზრს • მსჯელობს სცენარში მოყვანილი ადამიანების ემოციებზე
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საგანი ან ადგილი • განსაზღვრავს კონკრეტული საგნებისთვის განკუთვნილ ადგილებს სახლში • ახდენს საგნის იდენტიფიცრებას მისი დანიშნულებასთან	• აერთიანებს სიტყვებს კატეგორიების ფარგლებში: · ნივთები სახლში · ადგილები სახლში • ცნობს და აღწერს საგნებს შორის ურთიერთკავშირს	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი ა4	• მოკლე წინადადებაში აქცევს ყურადღებას ერთ სიტყვას • წინადადებაში აქცევს ყურადღებას მოკლე ფრაზას • ითვისებს წიგნს და პასუხობს კითხვებს	• ცდილობს გაიმეოროს ყოველი გვერდიდან ერთი ან მეტი სიტყვა	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. ააშენე სახელი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.
გამოიყენეთ დაბეჭდილი კარების და ფანჯრების ზომები შაბლონად, ამოჭერით და დაკეცეთ სადგულები ყუთის გვერდებზე ისე, რომ მოერგოს ქვემოთ მოცემულ ფორმებს.

რესურსები

- მუყაოს ყუთი
- ჩემი სახლი ა1
- წებო და მაკრატელი
- საკანცელარიო დანა

ინსტრუქციები

მშობლებმა/აღმზრდელებმა შვილებთან ერთად უნდა გააკეთონ სახლის მაკეტი მუყაოს ყუთისა და ამობეჭდილი რესურსების მეშვეობით. თერაპევტი ასწავლის მშობლებს/აღმზრდელს ქვემოთ მოცემული სტრატეგიების გამოყენებას. თერაპევტს შეუძლია წინასწარ გაამზადოს სახლის მაკეტი დროის ეკონომიის მიზნით.

1. მიამაგრეთ კარები და ფანჯრები ამოჭრილ და დაკეცილ სადგულებზე.
2. ჩამოკიდეთ ფარდები თითოეული ფანჯრის შიდა მხარეს.
3. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი.
4. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დისტანციური გაკვეთილების კრებულში 1 თერაპევტებს მოეთხოვებათ, რომ უხელმძღვანელონ და ასწავლონ მშობლებს/აღმზრდელებს თავიანთ შვილებთან ურთიერთობისას უფრო მეტი სასაუბრო ენის გამოყენება. დაიწყეთ ეს გაკვეთილი "უფრო მეტი საუბრის" მეთოდის ეფექტურობის შეხსენებით, ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე ამოჭრის, არჩევის, დაწებების დროს და ბოლოს, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით

აკუსტიკური აქცენტირება: მიაწოდეთ მშობლებს/აღმზრდელებს სასაუბრო ენის მრავალი მოდელი, რომელშიც გამოყენებული იქნება აკუსტიკური აქცენტირების მეთოდი. ეს მეთოდი ეხმარება სმენის აპარატების მქონე ბავშვებს, გაარჩიონ მნიშვნელოვანი ფრაგმენტი ან ინფორმაციის ნაწილი. აკუსტიკური აქცენტირების მეთოდი მოიცავს გადამეტებული ინტონაციის გამოყენებას, ნელი ტემპით საუბარს, ხმის ტემბრის ცვლილებას (ოდნავ ხმამაღალი ან ჩურჩულით), მნიშვნელოვანი სიტყვის წინადადების ბოლოს გადატანას ან სიტყვის წინ პაუზას. დამწყები მსმენელისთვის გამოიყენეთ მეტი აკუსტიკური აქცენტირება და გამოყავით წინადადებაში ერთი სიტყვა. ეს არის კარი. კაკუ კაკუ. მოდი დავაყენოთ ის წინ. ბავშვის მოსმენის უნარების განვითარების პერიოდში, გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირება, რათა დაეხმაროთ ბავშვს ერთზე მეტი ინფორმაციის მიღებაში. ნახე, ჩვენ გვაქვს ყვითელი კარი. უფრო განვითარებული ბავშვისთვის, შეამცირეთ აქცენტირება.

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: ინტერნეტით მოსმენა აწვდის ბავშვს მეტყველების ცუდ სიგნალს, ამიტომ მნიშვნელოვანია ვურჩიოთ მშობლებს/აღმზრდელებს, რომ იყვნენ ბავშვისთვის ძირითადი ენობრივი მოდელების მაგალითი, როგორც გაკვეთილებზე, ასევე ცხოვრებაში. სტრატეგია "მომიახლოვდი" არის სასარგებლო შეხსენება ბავშვის სმენის დამხმარე ტექნოლოგიებთან უფრო ახლო მანძილიდან საუბრის პრივილეგიების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე სუფთა სიგნალს. ოპტიმალური მანძილი დამწყები მსმენელის შემთხვევაში არის 30-დან 50 სმ-მდე. ამის მიღწევა შესაძლებელია მშობლის/აღმზრდელისა და ბავშვის ყუთის წინ დასმით. შესთავაზეთ კამერის გვერდზე დაყენება ისე, რომ კარგად ჩანდეს მათი ურთიერთქმედება.

გამოიყენეთ ვარიანტები:ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წარმოთქმამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი? რომელი კარი მოგწონს, ყვითელი თუ ცისფერი?

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე:იმის გაცნობიერება, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე, ხელს უწყობს ბავშვის გონების თეორიის განვითარებას. გააკეთეთ კომენტარი იმის შესახებ, თუ რატომ ვერ ხედავთ ბავშვის სახლს და წაახალისეთ მშობელი/აღმზრდელი დამატებითი ინფორმაციის მიწოდებაში. ოჰ, (თერაპევტის სახელი) ვერ ხედავს ჩვენს სახლს. უნდა მოვატრიალოთ. აი, ესე ჯობია ... მაგრამ ახლა წინა ნაწილს ვერ ვხედავთ.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

1. ააშენე სახელი





დაკეცე აქ

დაკეცე აქ

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

1. ააშენე სახელი



© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. ვინ არის სახლში?

მომზადება

მშობელი/აღმზრდელი ამობეჭდავს რესურსის 2 ეგზემპლარს პატარა ბარათებზე და გამოჭრის ქაღალდის ადამიანებს.
თერაპევტი ამობეჭდავს რესურსის ერთ ეგზემპლარს და გამოჭრის ადამიანებს.

რესურსები

- ჩემი სახლი ა2
- მაკრატელი
- პლასტილინი (მრავალჯერადი წებო)
- წიგნი ან საქაღალდე გამოიყენება როგორც ბარიერი

ინსტრუქციები

ადამიანების ერთ და იგივე ადგილზე განთავსებით უნდა გააკეთო ერთმანეთის მსგავსი ორი სახლი.

1. ყველა მოთამაშეს აქვს სახლის და ადამიანების ეგზემპლარები.
2. ისაუბრეთ თითოეულ ადამიანზე, თუ ვინ არის ის. დაამრგვალეთ პლასტილინის პატარა ნაჭრები და დაამაგრეთ თითო ადამიანის უკან.
3. თერაპევტი იწყებს თამაშს იმით, რომ სთხოვს მშობელს/აღმზრდელს და ბავშვს იპოვონ ერთ-ერთი ადამიანი. მშობელი/აღმზრდელი იმეორებს მითითებას.
4. ისაუბრეთ ოთახებზე სახლში და შემდეგ სთხოვეთ მშობელს/აღმზრდელს და ბავშვს, რომ ჩასვან ადამიანი ოთახში.
5. ისაუბრეთ იმაზე, თუ რა შეიძლება აკეთოს ადამიანმა ოთახში.
6. შეადარეთ ყველა სახლი, რათა შეამოწმოთ არის თუ არა მსგავსება.
7. შეცვალეთ როლები, რათა მშობლემა/აღმზრდელმაც და ბავშვმაც აირჩიონ ადამიანი და შემდეგ ოთახი.
8. თუ ზემოხსენებული ძალიან მარტივია, სცადეთ გააკეთოთ მშობლის/აღმზრდელისა და ბავშვის სახლებს შორის ბარიერი ისე, რომ მსმენელი ვერ ხედავდეს მოსაუბრის სახლს.
9. უფრო განვითარებული მსმენელის შემთხვევაში გაართულეთ თამაში ისეთი მითითებებით, რომლებიც ერთ წინადადებაში შეიცავს ადამიანსაც და ოთახსაც (და აქტივობას).

ძირითადი სტრატეგია

ყურადღებით მოუსმინე: ასწავლეთ მშობლებს/აღმზრდელებს, რომ ყოველი საგნის აღნიშვნამდე და არჩევამდე ჯერ გამოიყენონ სიტყვები. ეს სტრატეგია ეხმარება ბავშვს აითვისოს შემავალი აუდიოინფორმაცია მანამ, სანამ მოახდენს ფოკუსირებას ვიზუალურ ინფორმაციაზე, რაც სასარგებლოა ამ აქტივობის როგორც სასწავლო, ასევე ტესტირების სეგმენტების დროს. სასწავლო სეგმენტის შემთხვევაში, ბავშვი სწავლობს ადამიანების სახელებს, სახლში არსებულ ოთახებსა და აქტივობებს პლასტილინის დამრგვალებისას და ლაპარაკის დროს. ტესტირების სეგმენტის შემთხვევაში, ბავშვს სთხოვენ იპოვოს და დააყენოს ადამიანი შესაბამის ადგილას. ბავშვის მიერ ტექსტის გაგების უნარის შესამოწმებლად რეკომენდებულია მუდმივი დიაგნოსტიკური ტესტირება. თუ ბავშვმა შეძლო ადამიანის პოვნა, გაართულეთ დავალება ადამიანის და სახლის ნაწილის მითითებით. თუ ეს ამოცანა ბავშვისთვის ძალიან მარტივია, გაურთულეთ იგი ისეთი წინადადების შედგენით, რომელიც შეიცავს ადამიანს, ადგილს და მოქმედებას და წაახალისეთ ბავშვი, რომ დავალების შესრულებამდე გაიმეოროს ეს რთული წინადადება. ბაბუა ზის დივანზე და უყურებს ტელევიზორს.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ აკუსტიკური აქცენტირება და ვარიანტები: ასწავლეთ მშობლებს/აღმზრდელებს, რომ გაამახვილონ ბავშვის ყურადღება ძირითად ინფორმაციაზე ან ინფორმაციის ნაწილზე. ამით თქვენ უადვილებთ ბავშვებს მითითებების შესრულებას. შეგიძლიათ გააერთიანოთ ეს სტრატეგია "გამოიყენეთ ვარიანტებთან", რათა დაეხმაროთ ბავშვს ჩამოაყალიბოს საკუთარი მითითებები. რისი თქმა გინდა, რომ ბაბუა ზის დივანზე თუ ბაბუა არის მისაღებ ოთახში.

ძირითადი სტრატეგია

მომიახლოვდი: ამ აქტივობაში ბარიერის გამოყენებით უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მოსმენის უნარის განვითარებას. ბარიერის დაყენების შემთხვევაშიც ძალიან მნიშვნელოვანია მოსაუბრისა და მსმენელს შორის ოპტიმალური მანძილის შენარჩუნება. ურჩიეთ მშობელს/აღმზრდელს, მოხსნას ბარიერი, შეადაროს ორი სახლი და აღნიშნოს მათი მსგავსება. შესაძლოა ამ კომენტარებმა გამოიწვიოს რაიმე გრძნობების შესახებ ინფორმაციის გაცვლა. ოჰ, ძალიან ბედნიერი ვარ, როგორი მსგავსება გვაქვს. ჩვენ მართლა ყურადღებით ვუსმენდით. ყოჩაღ!

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

2. ვინ არის სახლში?



© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

2. ვინ არის სახლში?



© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

აქტივობა

3. სად უნდა იყოს?

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე.
ამოჭერით თავსატეხის ნაწილები.

რესურსები

- ჩემი სახლი ა3
- მაკრატელი

ინსტრუქციები

თქვენ უნდა იპოვოთ ერთმანეთის შესატყვისი თავსატეხის ნაწილები.

1. თითოეული ბარათის მარცხენა მხარეს გამოსახულია საყოფაცხოვრებო ნივთის სურათი. დაალაგეთ ბარათები ისე, რომ საყოფაცხოვრებო ნივთების ბარათები მაგიდის მარცხნივ დაჯგუფდეს. გადაიტანეთ ხელმარჯვნივ თავსატეხის ნაწილები, რომლებიც აჩვენებენ ნივთების ადგილმდებარეობას.
2. თერაპევტი იწყებს თამაშს იმით, რომ სთხოვს მშობელს/აღმზრდელს და ბავშვს იპოვონ კონკრეტული ნივთი (მაგალითად, იპოვონ ბალიში.)
3. მშობელი/აღმზრდელი იმეორებს ინსტრუქციას და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ბავშვს მარცხნივ განლაგებული ბარათების დათვალიერებაში.
4. როდესაც ბარათი მოიძებნება, მშობელი/აღმზრდელი კვლავ ასახელებს ამ ნივთს, საუბრობს იმაზე, თუ სად არის ეს ნივთი სახლში განთავსებული
   და რა დანიშნულება აქვს მას.
5. თერაპევტმა და ოჯახის წევრებმა უნდა მოძებნონ ნახატი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება იდეას და ნახონ მოერგება თუ არა ერთმანეთს ნაწილები.
   მიიტანეთ კამერასთან გადასამოწმებლად.
6. თუ ისინი შეესაბამება ერთმანეთს, ისაუბრეთ სიტყვებს შორის ურთიერთკავშირზე (მაგალითად, ბალიში უნდა იყოს საძინებელში. ის არის საწოლში ძილისთვის.)
7. მორიგეობით აიღეთ ბარათი საყოფაცხოვრებო ნივთების შეკვრიდან და მოძებნეთ მისი შესატყვისი ადგილი.

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: თქვენს შვილს შეიძლება გაუჭირდეს თქვენი ხმის მოსმენა ინტერნეტით, ამიტომ აუხსენით მშობლებს/აღმზრდელებს, რომ გაუმეორონ ბავშვს ნებისმიერი გაგონილი მითითებები. ამგვარად აუდიტორული სიგნალი ახლოსაა ბავშვის პროცესორთან (-ებთან), რაც უზრუნველყოფს მოსმენისთვის ოპტიმალურ პირობებს. მშობლებმა/აღმზრდელებმა შეუძლიათ მოითხოვონ რაიმე ნათქვამი ფრაზის დაზუსტება, რაც წარმოადგენს კიდევ ერთ შესაძლებლობას იმისათვის, რომ დაეხმარონ თავიანთ შვილს და ბუნებრივი ხერხით მოასმენინონ სიტყვების გამეორებები. შენ გვითხარი რომ ბალიში უნდა ვიპოვოთ?

ყურადღებით მოუსმინე: ასწავლეთ მშობლებს/აღმზრდელებს, რომ აღნიშნონ ესა თუ ის საგანი მის ამოცნობამდე და ამ საყოფაცხოვრებო ნივთის ბარათის აღებამდე. ასევე შეიძლება საჭირო გახდეს ფრთხილად დავუჭიროთ ბავშვს ხელები, რათა მივანიშნოთ რომ სანამ იგი აიღებს ბარათს ხელში, ჯერ უნდა თქვას სიტყვები. თუ საგნის პოვნა მარტივი აღმოჩნდება, გაურთულეთ მას ამოცანა და დამატებით მიაწოდეთ მითითებები საგნის ვიზუალური ან ფუნქციონალური აღწერით. იპოვე ის, რაზეც ძილის დროს დებ თავს. ის რბილი და ფუმფულაა.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები:გამოიყენეთ ვარიანტები: როდესაც მოვა ბავშვის მიერ სურათის არჩევის ჯერი, ასწავლეთ მშობლებს/აღმზრდელებს როგორ მიაწოდონ ბავშვს ვარიანტებიანი შეკითხვებით სალაპარაკო ენის მოდელი, რათა დაეხმარონ ბავშვს სიტყვების ზუსტ გამეორებაში. ვარიანტებიანი შეკითხვა შეიძლება შეიცვალოს ბავშვის სმენის დონიდან გამომდინარე. ბავშვისთვის, რომელმაც ახლად დაიწყო სიტყვების წარმოთქმა;შენ გინდა აიღო საპონი თუ ბალიში? უფრო განვითარებული მოსაუბრისთვის; როგორ ფიქრობ, საპონი უნდა იყოს საძინებელში … თუ საპონი უნდა იყოს სააბაზანოში?

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია: ბავშვის პირველი სიტყვები არასოდეს არ ჟღერს სრულყოფილად. სტრატეგია "ჩემი ხმა მნიშვნელოვანია" არის შეხსენება იმის აღსანიშნავად, რომ ბავშვი კომუნიკაციისთვის საკუთარ ხმას იყენებს. აუხსენით მშობელს/აღმზრდელს, რამდენად მნიშვნელოვანია დადებითი ემოციებით და შექებით შეხვდნენ ბავშვის მიერ კომუნიკაციის პირველ მცდელობებს და იმისათვის, რომ ბავშვს აგრძნობინონ მისი მცდელობების დიდი მნიშვნელობა, გაიმეორონ ხოლმე მისი ნათქვამი. რა კარგია! მე გავიგე რომ შენ თქვი ბალიში! მოდი ავიღოთ ბალიში.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე:ბავშვებმა ბევრჯერ უნდა მოისმინონ სიტყვები, რათა ისწავლოს მათი მნიშვნელობა და შეძლონ მათი დამახსოვრება ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლონ მათი გამოყენება. სიტყვებს შორის კავშირების შექმნა ამ პროცესს ეხმარება. მეტი საუბრით დაეხმარეთ ბავშვს გააცნობიეროს, თუ რატომ შეესაბამება სიტყვები ერთმანეთს. ეს დიდი ქვაბია. ვფიქრობ, ის უნდა იყოს სამზარეულოში. მე შემიძლია ქვაბში საჭმელი მოვამზადო. შემიძლია მაკარონი მოვხარშო. მმმ, შენ გიყვარს მაკარონი. მაკარონით სავსე დიდი ქვაბი.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

3. სად უნდა იყოს?







© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

3. სად უნდა იყოს?







© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

3. სად უნდა იყოს?







© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

3. სად უნდა იყოს?







© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. ჩემი სახლი

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე და დაამზადეთ წიგნი ან დააყენეთ მისი ელექტრონული ვერსია თქვენს მოწყობილობაზე.

ინსტრუქციები

მშობელი/აღმზრდელი, წიგნის დამოუკიდებლად წაკითხვით, უხელმძღვანელებს აქტივობას ბავშვთან ერთად. თერაპევტი დააკვირდება და საჭიროების შემთხვევაში, ასწავლის მშობლებს/აღმზრდელს ქვემოთ მოცემულ სტრატეგიებს.

რესურსები

- ჩემი სახლი ა4 (დაბეჭდილი ან ელექტრონული)
- დაასტეპლერეთ თუ იყენებთ დაბეჭდილ ვერსიას

ძირითადი სტრატეგიები

მომიახლოვდი: წიგნების კითხვა შესანიშნავი შესაძლებლობაა, რომ უფრო ახლოს დასხდეთ ერთმანეთთან. წიგნთან მუშაობის დაწყებამდე ურჩიეთ მშობელს/აღმზრდელს გადაჯდეს ისე, რომ მას და ბავშვს წიგნის კომფორტულად გაზიარება შეეძლოთ და მაქსიმალურად ახლოს იყვნენ ერთმანეთთან.

აკუსტიკური აქცენტირება: მცირეწლოვანი ბავშვებისთვის განკუთვნილი ბევრი ასეთი წიგნში გამოყენებულია განმეორებითი ფრაზები წინადადების სტრუქტურის გასაძლიერებლად. ორი გვერდის თითოეული სიტყვების ნაკრებს აქვთ თანმიმდევრული რიტმი. ურჩიეთ მშობლებს/აღმზრდელებს გამოიყენონ აკუსტიკური აქცენტირება სიტყვების მეტისმეტად ხაზგასმით, რათა გააძლიეროთ რიტმი და შეინარჩუნოთ ბავშვის ყურადღება. ჩემს სახლს აქვს დიდი წინა კარი დასაკაკუნებლად.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წიგნის ერთად კითხვა არის აქტივობა, რომლის დროსაც უფროსს შეუძლია ტექსტში მოცემული სიტყვების წაკითხვის გარდა, კომენტარების გაკეთებით და რამდენიმე კითხვის დასმით დააინტერესოს ბავშვი მოთხრობით და წიგნით. წაახალისეთ მშობელი/აღმზრდელი ისაუბროს იმაზე, თუ რა იპყრობს ბავშვის ყურადღებას სურათზე. როგორც წესი, სამი კომენტარის გაკეთება და ერთი კითხვის დასმა საკმაოდ ეფექტური თანაფარდობაა სწავლისა და ტესტირებისთვის.

ჩემი ხმა მნიშვნელოვანია: ასწავლეთ მშობელს/აღმზრდელს, რომ დაიცადოს თითოეული კომენტარის ბოლოს და მისცეს ბავშვს საუბარში მონაწილეობისთვის საკმარისი დრო. თავდაპირველად შეიძლება გაიგოთ მხოლოდ ერთი სიტყვა ან ხმა. მშობელს/აღმზრდელს შეუძლია გაითვალისწინოს ეს, როდესაც დგება ბავშვის კითხვის და გვერდის გადაშლის ჯერი. უფრო განვითარებული ბავშვის მშობელს/აღმზრდელს შეუძლია ყურადღებით მოუსმინოს შვილს, გაიმეოროს და გააფართოვოს მისი ნათქვამი საუბრის გასაგრძელებლად. მონაცვლეობითი წესით საუბარი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წიგნის დასრულება.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წაახალისეთ მშობლები/აღმზრდელები, რომ დაუთმონ საკმარისი დრო წიგნის თითოეულ გვერდს და გააკეთონ კომენტარები იმის შესახებ, აქვთ თუ არა მათ სახლის ეს ნაწილი. ბავშვები მაშინ სწავლობენ და იმახსოვრებენ სიტყვებს, როდესაც მათ შეუძლიათ დააკავშირონ ეს სიტყვა პირად გამოცდილებას. ჩვენ არ გვაქვს დერეფანი. ამის მსგავსი გრძელი დერეფანი. არა, ჩვენ არ გვაქვს. მაგრამ შენ გახსოვს ბებიას სახლი. ბებიას სახლში არის დერეფანი.
შენ გიყვარს სირბილი, დერეფანში სწრაფად სირბილი. მაგრამ ბებია რას ამბობს...?

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

ჩემი სახლი

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

რეკომენდებული ქაღალდი: A4, 250 გრ

ჩემს სახლს აქვს



დიდი წინა კარი

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



დასაკაკუნებლად.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლს აქვს



გრძელი ვიწრო დერეფანი

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

სარბენად.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლში არის



სამზარეულო, რომელიც სავსეა მბზინავი საგნებით

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

რომელშიც მზადდება საჭმელი.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლში არის

მაღალი ფანჯრები

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



გასახედად.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლთან არის

ცხელი, მზიანი ბაღი

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



მცენარეების გასაზრდელად.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლში არის



მაგიდა
წითელი სუფრით,

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020



რომელზეც ვჭამთ.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლში არის



ძველი
სავარძელი

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

ერთად საკითხავად.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

ჩემს სახლში არის

ჩემი საყვარელი დათვი,

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

რომელსაც ვეხუტები.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

და ჩემს სახლში არის

რბილი მყუდრო საწოლი

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

დასაძინებლად.



ღამე ღამე.

© საავტორო უფლებების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL ოფისები მსოფლიოს მასშტაბით

ამერიკა

არგენტინა
medel@medel.com.ar

კანადა
officecanada@medel.com

კოლუმბია
office-colombia@medel.com

მექსიკა
office-mexico@medel.com

აშშ
implants@medelus.com

აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი

ავსტრალია
office@medel.com.au

ჩინეთი
office@medel.net.cn

ჰონგ კონგი
office@hk.medel.com

ინდოეთი
implants@medel.in

ინდონეზია
office@id.medel.com

იაპონია
office-japan@medel.com

მალაიზია
office@my.medel.com

ფილიპინები
office@ph.medel.com

სინგაპური
office@sg.medel.com

სამხრეთ კორეა
office@kr.medel.com

ტაილანდი
office@th.medel.com

ვიეტნამი
office@vn.medel.com

ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა

ავსტრია
office@at.medel.com

ბელგია
office@be.medel.com

ფინეთი
office@fi.medel.com

საფრანგეთი
office@fr.medel.com

გერმანია
office@medel.de

იტალია
ufficio.italia@medel.com

პორტუგალია
office@pt.medel.com

ესპანეთი
office@es.medel.com

სამხრეთ აფრიკა
customerserviceZA@medel.com

არაბეთის გაერთიანებული ემირატები
office@ae.medel.com

გაერთიანებული სამეფო
customerservices@medel.co.uk

M00514 1.0

MED-EL-ის სამედიცინო აღჭურვილობა
ფურსტენვეგ 77ა | 6020 ინსბრუკი, ავსტრია | office@medel.com

medel.com